ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 01-03-104

ქ. თბილისი 12 ივნისი 2018 წელი

შემსყიდველი: სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, წარმოდგენილი ცენტრის დირექტორის ფუნქციების დროებით შემსრულებლის **დავით ხვედელიძის** სახით;
მისამართი: ქ. თბილისი, გმირი კურსანტების ქ. №4;
საიდენტიფიკაციო კოდი: 202374251;
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, ა/ა: GE24 NB03 3010 0200 1650 22.

მიმწოდებელი: შპს „თრეველექსი" წარმოდგენილი მისი დირექტორის **ნინო ჩხაიძის** სახით;
მისამართი: ქ. თბილისი, ბოჭორმის №29;
საიდენტიფიკაციო კოდი: 416342121;
საბანკო რეკვიზიტები: სს „თი ბი სი ბანკი", ბანკის კოდი:TBCBGE22, ა/ა:GE95 TB7424936020100000 2

ერთი მხრივ, შემსყიდველი და მეორე მხრივ მიმწოდებელი, ჩატარებული ელექტრონული ტენდერის (სატენდერო განაცხადის ნომერი NAT 190009958) გათვალისწინებით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;

1.2. ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება – ვალდებულების ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამოდ, არასრულად, უხარისხოდ შესრულება.

1.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადების გადაცდენა – მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობა.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პროგრამის „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად" ფარგლებში დასაქმებული უცხოელი მოხალისე მასწავლებლების საქართველოდან გასამგზავრებელი ეკონომ კლასის ცალმხრივი 19 (ცხრამეტი) და საქართველოში ჩამოსასვლელი ეკონომ კლასის ცალმხრივი 1 (ერთი) ავიაბილეთი (CPV-60400000).

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 შესასყიდი ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში;

3.2 შესასყიდი ავიაბილეთების საერთო ღირებულება (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება") შეადგენს 35645.00 (ოცდათხუთმეტიათას ექვსასორმოცდახუთი) ლარს;

3.3 შესასყიდი ავია ბილეთების შესაბამისად მგზავრობის მიმართულებები, მგზავრის სახელი და გვარი, ასევე თითოეული ავიაბილეთის ღირებულება მოცემულია ხელშეკრულების დანართი N 1-ში;

3.4 დაფინანსების წყარო: სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად" ქვეპროგრამა.

მუხლი 4. შესასყიდი ობიექტის ხარისხი

აუცილებელი პირობა:

ა) რეისებს შორის დრო უნდა იყოს საკმარისი რეგისტაციისთვის და სასურველია, არ აღემატებოდეს ერთი რეისიდან მეორეზე გადაჯდომისთვის საჭირო დროს. მგზავრებს არ უნდა მოუწიოთ ღამის გათევა. (გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული წარმოადგენს გადაჯდომის (ე. წ. connection-ისთვის აუცილებელ პერიოდს,) ასეთ შემთხვევაში ღამისთევასთან დაკავშირებული ხარჯები (სასტუმრო) იფარება მიმწოდებლის მიერ.

ბ) თითოეულ ბილეთზე შუალედური (სატრანზიტო) ქალაქების რაოდენობა არ უნდა აღმატებოდეს 3-ს;

გ) სასურველია ტრანზიტი არ განხორციელდეს თურქეთის გავლით;

დ) სატრანზიტო ქალაქებში არ უნდა მოხდეს აეროპორტის ცვლილება (ფრენის გაგრძელება უნდა მოხდეს იმავე აეროპორტიდან, სადაც მოხდა ჩაფრენა).

ე) ბილეთის ფასი უნდა შეიცავდეს მინიმუმ 20 კგ-მდე ბარგის და 7 კგ-მდე ხელბარგის ღირებულებას და კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

ვ) ფრენის დროს ავიაკომპანიის მიზეზით წარმოშობილი პრობლემის მოგვარება (რეისის მოხსნა, გადადება, დაგვიანება, ავიაკომპანიის გაკოტრება და სხვა) და ამ პრობლემის შედეგად წარმოშობილი ფინანსური ხარჯის სრულად უზრუნველყოფა, მათ შორის ავიაკომპანიის გაკოტრება/დახურვის შემთხვევაში, მგზავრის დამატებითი ბილეთით უზრუნველყოფა უნდა მოხდეს მიმწოდებლის მიერ.

მუხლი 5. შესასყიდი ობიექტის მიწოდების ფორმა, ვადები და ადგილი

5.1 ავიაბილეთების მიწოდება ხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) კალენდარული დღის ვადაში ელექტრონული სახით;

5.2 ავიაბილეთები მიწოდებული უნდა იქნეს ელექტრონული სახით, შემდეგ ელექტრონული ფოსტის მისამართებზე: tvakhtangadze@tpdc.ge და tlginbox@tpdc.ge.

5.2 მგზავრობის მომსახურება გახორციელდება დანართი N 1 -ში მითითებული გრაფიკით.

მუხლი 6. შესასყიდი ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესასყიდი ობიექტის მიღება ფორმდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რაც ასევე ადასტურებს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

6.2 მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად" ქვეპროგრამის მენეჯერს თეა ვახტანგაძეს. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დასკვნა.

მუხლი 7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

7.2 ანაზღაურება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში;

7.3 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

მუხლი 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 შემსყიდველი ვალდებულია:

8.1.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ავიაბილეთების მიღებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

8.1.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს მიმწოდებელს ავიაბილეთების ღირებულება.

8.1.3 გადაუხადოს მიმწოდებელს ავიაკომპანიების მიერ დაწესებული ჯარიმის ოდენობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მის მიერ შემსყიდველისათვის ბილეთების გადაჯავშნაზე ან უკვე შესყიდული ბილეთების ვადის შეცვლაზე მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში, რომელიც თავის მხრივ გამოწვეულია შემსყიდველისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით;

8.1.4 ამ მუხლის 8.1.3 ქვეპუნქტში მითითებული ჯარიმის ოდენობა უნდა განისაზღვროს მხოლოდ იმ ოდენობით, რაც ოფიციალურად არის დაწესებული იმ ავიაკომპანიის მიერ, რომლის ბილეთებსაც ერიცხება ჯარიმა. ჯარიმის არსებობის ფაქტის დასადასტურებლად მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა გაუგზავნოს ავიაკომპანიის მიერ ჯარიმის დარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი და შესაბამისი ინვოისი.

8.2 შემსყიდველს უფლება აქვს:

8.2.1 შეამოწმოს მიწოდებული ავიაბილეთების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

8.2.2 მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რაც გამოწვეულია მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;

8.2.3 მოთხოვოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

8.2.4 მოთხოვოს მიმწოდებელს ნაკლოვანი ავიაბილეთების შეცვლა და ნაკლის აღმოფხვრა.

8.3 მიმწოდებელი ვალდებულია:

8.3.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

8.3.2 გადასცეს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლში აღნიშნული ავიაბილეთები შესაბამისი დოკუმენტებით და უზრუნველყოს ფრენის მომსახურების უხარვეზოდ შესრულება;

8.3.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ავიაბილეთების მიწოდებისას და ფრენის მომსახურების გაწევისას აცნობოს შემსყიდველს ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

8.3.4 აუნაზღაუროს შემსყიდველს ის ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;

8.3.5 საკუთარი ხარჯებით შეცვალოს შემსყიდველის მიერ გამოვლენილი უხარისხო საქონელი და აღმოფხვრას არსებული ნაკლი;

8.3.6 უზრუნველყოს ფრენის დროს ავიაკომპანიის მიზეზით წარმოშობილი პრობლემის მოგვარება (რეისის მოხსნა, გადადება, დაგვიანება, ავიაკომპანიის გაკოტრება და სხვა) და ამ პრობლემის შედეგად წარმოშობილი ფინანსური ხარჯის სრულად უზრუნველყოფა, მათ შორის ავიაკომპანიის გაკოტრება/დახურვის შემთხვევაში მგზავრის დამატებითი ბილეთით უზრუნველყოფა.

8.3.7 შემსყიდველის მიერ დაჯავშნულ ან/და უკვე შეკვეთილ ავიაბილეთებზე უარის განაცხადის შემთხვევაში, დაუბრუნოს შემსყიდველს ავიაბილეთების გადახდილი ღირებულება, ავიაკომპანიის მიერ დაწესებული საჯარიმო სანქციების გამოკლებით. საჯარიმო სანქციის ოდენობა წარმოდგენილი უნდა იყოს დოკუმენტალურად.

8.4 მიმწოდებელს უფლება აქვს:

8.4.1 მოთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული ავიაბილეთების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

8.4.2 მოთხოვოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

მუხლი 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.5 %-ის ოდენობით;

9.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) %-ის ოდენობით;

9.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური მოცულობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) %-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

9.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 10. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

10.1 შემსყიდველის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ კონტროლი, რათა დარწმუნდნენ ავიაბილეთის შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან;

10.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა ნაკლის აღმოფხვრა;

10.3 ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების კონტროლს განახორციელებს სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ ქვეპროგრამის მიმართულების კოორდინატორი ნელი ყარაშვილი, რომელიც წერს დასკვნას ხელშეკრულების პირობებთან შესყიდვის საგნის შესაბამისობის შესახებ.

მუხლი 11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ;

11.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება და მისი მიღების საფუძველი;

11.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

11.4 შემსყიდველს აგრეთვე შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ:

11.4.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

11.4.2 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

11.4.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

11.5 ამ მუხლის 11.4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

მუხლი 12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

12.1 მხარეები უფლებამოსილნი არიან მოახდინონ ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა და ცვლილება შეიტანონ მოქმედ ხელშეკრულებაში;

12.2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის ინიციატორმა მხარემ წერილობითი სახით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია;

12.3 დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილების შეტანა, რომლითაც უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ან იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

12.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 13. ფორსმაჟორი.

13.1 მხარეები არ აგებენ პასუხს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის, თუ ეს გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოების დადგომის გამო და თუ ეს დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების დადების შემდეგ;

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია ხელისმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

15.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას მხარეთა ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

15.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 16. სხვა პირობები

16.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

16.2 არც ერთ მხარეს აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

16.3 მესამე პირთან/პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

16.4 წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების ბათილობას;

16.5 წინამდებარე ხელშეკრულება არ შეიცავს რაიმე სიტყვიერ დამატებას;

16.6 ხელშეკრულების დანართები წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებენ მხოლოდ მასთან ერთად;

16.7 მხარეებს შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

16.8 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

16.9 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. 1 (ერთი) ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს;

16.10 ყოველივე ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად, სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა ქვემოთ აღნიშნულმა პირებმა ხელი მოაწერეს წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 17. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული	**შპს „თრეველექსი“**
განვითარების ეროვნული ცენტრი	
დავით ხვედელიძე	**ნინო ჩხაიძე**
დირექტორის ფუნქციების დროებით	დირექტორი
შემსრულებელი	

დანართი N1

№	მგზავრის სახელი და გვარი	მიმართულება	გაფრენის თარიღები	ღირებულება
1	იზაბელ ნატაშა სიბილოუ (Isabelle Natacha Sibileau)	თბილისი - ბორდო (Bordeaux – BOD)	15.06.2019	1350.00
2	მსა ჯენიფერ ფალენი (Msa Jennifer Faleni)	თბილისი - ისტ-ლონდონი (East London - ELS) (ობიექტური მიზეზების გამო არ სურს გაფრენა თურქეთის გავლით)	15.06.2019	2670.00
3	ჯარედ ტომას ჰორნსბი (Jared Thomas Hornsby)	თბილისი - ბოსტონი (Boston - BOS)	15.06.2019	1545.00
4	ტომას ჯიანონი (Thomas Giannoni)	თბილისი - ბორდო (Bordeaux – BOD)	16.06.2019	990.00
5	ანა-კრისტელ სოფი ბესნარდ (Anne-Christel Sophie Besnard)	თბილისი - პარიზი (Paris – CDG)	17.06.2019	750.00
6	ნიკოლას ჰამიდ მაჯიდი (Nicholas Hamid Majidi)	თბილისი - ბოსტონი (Boston - BOS)	17.06.2019	1500.00
7	ჯეიკობ ჩეის ბარბა (Jacob Chase Barba)	თბილისი - ნიუ-იორკი (New York City - JFK) (სასურველია არ განხორციელდეს ფრენა ტამპას გავლით)	20.06.2019	1340.00
8	რენე ნიკოლ პუტჩერ (Renee Nicole Purtscher)	თბილისი - ვაშინგტონი (Washington Dulles- IAD)	21.06.2019	2245.00
9	თიზიანა მაროტო (Tiziana Marotto)	თბილისი - ტურინი (Turin – TRN) (მიფრინავს მცირეწლოვან შვილთან და შინაურ ცხოველთან ერთად, დამატებით ხარჯებს იხდის თავად)	26.06.2019	1335.00
10	არონ კრეგ ჰაინდსი (Aaron Craig Hinds)	თბილისი - ტამპა (Tampa - TPA)	27.06.2019	2410.00
11	კარინა მარია ლოპრიჩი (Karina Maria Loepprich)	თბილისი - მიუნხენი (Munich - MUC)	27.06.2019	850.00
12	სამანტა ჯინ დალესიო (Samantha Jeanne Dalesio)	თბილისი - სირაკიუსი (Syrasuse - SYR)	30.06.2019	2330.00

13	ჯოშუა რის ვეინრაითი (Joshua Rhys Wainwright)	თბილისი - ლონდონი გატვიკი (London Gatwick – LGW)	1.07.2019	885.00
14	ჯეიკობ მაიკლ დანიელსი (Jacob Michael Daniels)	თბილისი - პორტლენდი (Portland – PDX)	8.07.2019	2750.00
15	ტიმოტი როულენდ ბარნსტეიბლ (Timothy Rowland Barnstable)	თბილისი - ლონდონი გატვიკი (London Gatwick – LGW)	15.07.2019	1235.00
16	სიდნი ემილ როი (Sidney Emile Roy)	თბილისი - ნეშვილი (Nashville - BNA)	15.07.2019	3455.00
17	ჯულიენ ქრისტიან ფრენკ მორისი (Julien Christian Franck Morice)	თბილისი - რენი (Rennes – RNS)	15.07.2019	1670.00
18	მაკკენა შასტინ რენ (McKenna Shastine Renn)	თბილისი - სიეტლი (Seattle - SEA)	15.07.2019	2460.00
19	ჯეფრი კემენს სილვერმენი (Jeffrey Kamens Silverman)	თბილისი - ლექსინგტონი (Lexington - LEX (Blue Grass))	26.07.2019	2485.00
20	ბრიტა ინგებორგ დუპლესისი (Britta Ingeborg Du Plessi)	იოჰანესბურგი - თბილისი (Johannesburg - JNB)	28.08.2019	1390.00
			სულ	35645.00

მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი:

სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული

განვითარების ეროვნული ცენტრი

დავით ხვედელიძე

დირექტორის ფუნქციების დროებით

შემსრულებელი

მიმწოდებელი:

შპს „თრეველექსი"

ნინო ჩხაიძე

დირექტორი

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, გავეცანით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლს (ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები და წესები) და ხელისმოწერით ვადასტურებთ, რომ მიმწოდებლის მიმართ (შპს „თრეველექსი") არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის

დირექტორის ფუნქციების დროებით შემსრულებელი

/დავით ხვედელიძე/

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის

„ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად" პროგრამის მენეჯერი

/თეა ვახტანგაძე/

ვიზირება:

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის

ეკონომიკური რესურსების სამსახურის უფროსი

/ია ძებისაური/

შემსრულებელი

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის

ეკონომიკური რესურსების სამსახურის შესყიდვების

სპეციალისტი */ირინე სადრაძე/*